

## ბრძანება

N03/44

12 / მარტი / 2013 წ.

ქ. თბილისი

### კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით ღირებული ობიექტებისათვის კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭების თაობაზე

საქართველოს უმნიშვნელოვანეს ისტორიულ-კულტურულ ფასეულობათა სამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 51-ე, 52-ე, 53-ე მუხლებისა და „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად,

ვბრძანებ:





1. მიენიჭოს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი ამ ბრძანების დანართში მითითებულ ობიექტებს;
2. დაევალოს კულტურული მემკვიდრეობის სტრატეგიის, ორგანიზაციების კოორდინაციისა და ნებართვების დეპარტამენტს ამ ბრძანების ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში ბრძანების დანართში მითითებული ობიექტების მონაცემების სამინისტროს ინტერნეტგვერდზე ასახვა;
3. ეთხოვოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს წარმოადგინოს შესაბამისი დასკვნა დანართში მითითებული ძეგლებისათვის კატეგორიის მინიჭების თაობაზე;
4. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.






ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს მთავრობაში (მისამართი: ქ. თბილისი, პავლე ინგოროყვას ქუჩა N7).

მინისტრი

მირიანე ოდიშარია

დანართი

№	ფოტო	სახელწოდება	ადგილმდებარეობა/ მისამართი	სახეობა	თარიღი
1.		მაცხოვრის ამაღლების ეკლესია	იმერეთი, თერჯოლის მუნიციპალიტეტი, სოფ. ჩხარი	არქიტექტურის	მე-19 საუკუნე
2.		მაცხოვრის აღდგომის (ოქონის) ეკლესია	იმერეთი, თერჯოლის მუნიციპალიტეტი, სოფ. ჩხარი	არქიტექტურის	შუასაუკუნე ბი
3.		მაცხოვრის ეკლესია	იმერეთი, თერჯოლის მუნიციპალიტეტი, სოფ. გოდოგანი	არქიტექტურის	გვიანი შუა საუკუნეები
4.		კოშკი	იმერეთი, თერჯოლის მუნიციპალიტეტი, სოფ. გოდოგანი	არქიტექტურის	გვიანი შუა საუკუნეები

5.		ოქროს ჯვრის ეკლესია	იმერეთი, თერჯოლის მუნიციპალიტეტი, სოფ. გოდოგანი	არქიტექტურის	გვიანი შუა საუკუნეები
6.		გოდოგნის მაცხოვრის ძველი ეკლესია	იმერეთი, თერჯოლის მუნიციპალიტეტი, სოფ. გოდოგანი	არქიტექტურის	გვიანი შუა საუკუნეები
7.		გოდოგნის წმ. გიორგის ეკლესია	იმერეთი, თერჯოლის მუნიციპალიტეტი, სოფ. გოდოგანი	არქიტექტურის	გვიანი შუა საუკუნეები
8.		ხიდი	იმერეთი, თერჯოლის მუნიციპალიტეტი, სოფ. გოდოგანი	არქიტექტურის	გვიანი შუა საუკუნეები
9.		სახიზარი	იმერეთი, თერჯოლის მუნიციპალიტეტი, სოფ. ძეგრი	არქეოლოგიური	შუასაუკუნეები

10.		სახიზარი	იმერეთი, თერჯოლის მუნიციპალიტეტი, სოფ. ძევერი	არქეოლოგიური	შუასაუკუნეები
11.		გამოქვაბული	იმერეთი, თერჯოლის მუნიციპალიტეტი, სოფ. ძევერი	არქეოლოგიური	შუასაუკუნეები
12.		გამოქვაბული (საგვარჯილე)	იმერეთი, თერჯოლის მუნიციპალიტეტი, სოფ. ძევერი	არქეოლოგიური	ზედა პალეოლითი-შუასაუკუნეები
13.		წყალთბილას ეკლესია	ახალციხის მუნიციპალიტეტი, სოფ. წყალთბილა	არქიტექტურის	ადრეული შუასაუკუნეები
14.		კისისხევის იოანე ნათლისმცემლის ეკლესია	თელავის მუნიციპალიტეტი, სოფელი კისისხევი	არქიტექტურის	1767 წ.

15.		კოში	თელავის მუნიციპალიტეტი, სოფელი კისისხევი	არქიტექტურის	1767 წ.
16.		“წმ. გიორგი”	გორის მუნიციპალიტეტი, სოფ. არბო	არქიტექტურის	
17.		ანტონ ფურცელაძის სახლი	გორის მუნიციპალიტეტი, სოფ. არბო	არქიტექტურის	1899 წელი.
18.		ჟურნალების საცხოვრებელი სახლი	გორის მუნიციპალიტეტი, სოფ. არბო	არქიტექტურის	XIX ს.
19.		ნიკო ლომოურის სახლი	გორის მუნიციპალიტეტი, სოფ. არბო	მემორიალური	XIX ს.
20.		“წმ. გიორგი”	გორის მუნიციპალიტეტი, სოფ. არბო	არქიტექტურის	X ს.



21.		ძუძუანას მღვიმე	იმერეთი, ჭიათურა	არქეოლოგიური	ქვის ხანა ზედა პალეოლითი
22.		კოტიას კლდე	ჭიათურის რაიონი, სოფელი სვერი	არქეოლოგიური	ქვის ხანა.პალეოლითი
23.		საწურბლიას მღვიმე	იმერეთი, წყალტუბოს მუნიციპალიტეტი, სოფ. ყუმისთავი	არქეოლოგიური	ქვის ხანა (მუსტიეს ეპოქა, ზედა პალეოლითი, ნეოლითი), ენეოლითი.
24.		"წამებული"-ს ეკლესია	ახმეტის მუნიციპალიტეტი, სოფ. მაღრაანი	არქიტექტურის	XVI-XVII საუკუნეები
25.		<b>V-VII საუკუნეების</b> <b>აბანო</b> (აბანოს კომპლექსი)	ქალაქი ქუთაისი, „არქიელის გორა“, ბაგრატის ქუჩა №25- ში მდებარე სახლის ეზოს ჩრდილოეთით მოსაზღვრე ფართობში (ტერიტორია)	არქიტექტურის, არქეოლოგიური	V-VII საუკუნეები
26.		VI-VII საუკუნეების ეკლესია	ქალაქი ქუთაისი, „არქიელის გორა“, ბაგრატის ქუჩა №25- ში მდებარე სახლის ეზოს ჩრდილოეთიდან მოსაზღვრე ტერიტორია	არქიტექტურის, არქეოლოგიური	VI-VII საუკუნეები

